აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 11

01 ივნისი 2004წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების დაფინანსების გეგმაში (ხარჯთაღრიცხვაში) ცვლილებების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამასთანავე, ვინაიდან დაფინანსების გეგმაში (ხარჯთაღრიცხვაში) დაშვებულ იქნა მექანიკური შეცდომა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების დაფინანსების გეგმა (ხარჯთაღრიცხვა) შემდეგი შესწორებით: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნების დაფინანსების გეგმა (ხარჯთაღრიცხვა) პირველი გვერდის მე-4 პუნქტის შესაბამის გრაფაში „ამომრჩევლის ბარათი”-ს გასწვრივ არის შემდეგი მონაცემები “300000ც X 0.002”, უნდა იყოს: “300000ც X 0.02”, რის გამოც დაფინანსების გეგმის (ხარჯთაღრიცხვის) ჯამი მთლიანად ნაცვლად 538964-ისა იქნება 544364;

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;

მუხლი 3. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: /ირაკლი ფაღავა/

კომისიის მდივანი: /გიზო მჭედლიძე/